

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 1 მაისის #99/01/01 ბრძანების საფუძველზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 მაისის №127/2018 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი #3

ქ. თბილისი

21 ივნისი 2018 წელი 16:00 სთ.

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 1 მაისის #99/01/01 ბრძანებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის შემოვიდა ერთი განაცხადი. თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 მაისის №127/2018 დადგენილების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას. კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად.

კომისიის შემაჯამებელ სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

- 1) რომან ჯობავა - ფმმკ, აკადემიური დოქტორი, შპს EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა EMCoS ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);
- ბ) კახაბერ თავზარაშვილი - ფმმკ, აკადემიური დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის, ინჟინერიისა და მათემატიკის სკოლის დირექტორი, პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
- გ) დავით კაკულია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
- დ) რამაზ ქვათაძე - ფმმდ, საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის, ინჟინერიის და მათემატიკის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა“-ს აღმასრულებელი დირექტორი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს :

კომისიის თავმჯდომარის რ. ჯობავას ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის I ეტაპზე

შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი N4). შეფასების I კატეგორიის („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) მიხედვით კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეფასდა ვაკანსიის პროფილის შესაბამისად. შეფასების II კატეგორიის (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა წარმოდგენილი სილაბუსების, პროფილის მიხედვით თსუ-ში წაკითხული კურსების, ტრენინგების და ა.შ კომისიის მიერ შეფასდა კრიტერიუმით - „მაღალი“. კომისიამ ასევე “მაღალი” შეფასებით შეაფასა კონკურსანტის სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა (შეფასების III კატეგორია), იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში წარმოდგენილი სტატიების, მაღალი ბიბლიომეტრული მაჩვენებლების, მრავალ უცხოურ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებების გათვალისწინებით. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო შრომა. კომისიის აზრით კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ნათლად ასახავს კონკურსანტის გამოცდილებას, კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობაში უშუალო წვლილის შეტანას, სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. კონცეფციის მიხედვით გამოიკვეთა კონკურსანტის მნიშვნელოვანი როლი და მისი უშუალო ჩართულობა/თაოსნობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე კვლევით და საგანმანათლებლო პროცესებში (საქართველოსა და აშშ-ის შორის ხელმოწერილი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის უმაღლესი განათლების პროექტის ფარგლებში ერთობლივი საბაკალავრო პროგრამები, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის და კომპიუტერული მეცნიერებების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამებისთვის ABET აკრედიტაციის მოპოვება, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საუნივერსიტეტო საქმიანობაში ინტეგრაცია, პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი, მინიმალური სამეცნიერო სტანდარტი და ა.შ). კონკურსანტი ფლობს კომპიუტერული პროგრამების ფართო სპექტრს, უცხო ენებიდან თავისუფლად ფლობს რუსულს და ინგლისურს. IV კატეგორიის საერთო შეფასების მიხედვით კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით - „მაღალი“.

გასაუბრების შედეგების მიხედვით დადასტურდა რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას და ღირსეული კანდიდატურაა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგების მიხედვით კომისიის ოთხივე წევრმა მხარი დაუჭირა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის პროფესორის თანამდებობაზე გიორგი ღვედაშვილის კანდიდატურის გამარჯვებულად გამოვლენას.

დაადგინეს:

1. გიორგი ღვედაშვილი არჩეულ იქნას თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის პროფესორის თანამდებობაზე.
2. შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრები:

რომან ჯობავა (კომისიის თავმჯდომარე)

h. ჯობავა

დავით კაკულია (კომისიის მდივანი)

დ. კაკულია

კახაბერ თავზარაშვილი (კომისიის წევრი)

კ. თავზარაშვილი

რამაზ ქვათაძე (კომისიის წევრი)

რ. ქვათაძე